საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №112/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 5 ოქტომბრის №112 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 4 დეკემბრის №112/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- მიმართ ჰქონდა ნეგატიური განწყობა, იგი ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი მისი შუამდგომლობის (ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ) განხილვის დროს და ამიტომ უნდა განეცხადებინა თვითაცილება, რაც მოსამართლემ არ განახორციელა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- 2008 წლის 3 დეკემბერს -- -- მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოიტანა განაჩენი, რომელშიც ცვლილება შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინებით.

-- სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 3 აპრილის განჩინებით 2008 წლის 3 დეკემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ დაზუსტდა მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის დაწყების თარიღი.

2009 წლის 27 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში -- -- მიერ შეტანილ იქნა საჩივარი საქართველოს წინააღმდეგ. მომჩივანის პოზიციით, -- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში შეტანილმა ცვლილებამ გამოიწვია კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ -- წლის 28 მარტს მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოო გახდა -- წლის 28 ივნისს. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6

მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას და ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

-- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- 2017 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით -- -- ცნობილი იქნა დამნაშავედ:

- საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა;
- საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა;
- საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დანიშნული სასჯელებიდან უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით, -- -- საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2017 წლის 6 თებერვლიდან.

-- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- 2018 წლის 8 მაისის განჩინებით, დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ -- -- შუამდგომლობა, სააპელაციო საჩივრის გახმობის თაობაზე, რის საფუძველზეც, საქმეზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი დატოვებული იქნა განუხილველად.

2020 წლის 26 აგვისტოს მსჯავრდებულმა -- -- სააპელაციო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო -- -- სასამართლოს 2017 წლის 18 ოქტომბრის განაჩენის გადასინჯვის შესახებ. -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- 2020 წლის 9 სექტემბრის განჩინებით მსჯავრდებულ -- -- შუამდგომლობა არ იქნა დაშვებული განსახილველად.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 4 დეკემბრის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 5 ოქტომბრის №112 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი) განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომელიც არღვევს მიუკერძოებლობის პრინციპს, კერძოდ კი მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი („ბ.დ“ ქვეპუნქტი).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის საფუძვლიანობის შემოწმებისას ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.

იმისათვის, რომ შეფასდეს მოსამართლის ქმედების მართლზომიერება, საჭიროა განხილულ იქნას საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოსამართლის აცილების ნორმატიული საფუძვლები.

მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას. იმისათვის, რომ მართლმსაჯულების სისტემამ შეასრულოს მისთვის მინიჭებული დანიშნულება - დაამკვიდროს კანონის უზენაესობაზე დამყარებული საზოგადოება და სამართლებრივი უსაფრთხოება, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მოსამართლის მიერ საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვა.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით, „მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი.“ (3.1) „მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი საქციელი გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო.“ ამასთან, (3.2) „მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის მიმართ. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს როგორც აღსრულებული.“

სასამართლოს მიერ საქმის მიუკერძოებლად განხილვის პრინციპი და შესაბამისად, გარკვეული წინაპირობების არსებობისას საქმის აცილების ვალდებულება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო უფლების შემადგენელ ელემენტსაც.

მიუკერძოებლობა როგორ წესი ნიშნავს საქმისადმი წინასწარ დაინტერესებისა და ტენდენციურობის გამორიცხვას და იგი ფასდება სუბიექტური და ობიექტური ტესტის მიხედვით. სუბიექტური ტესტით შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული მოსამართლის პიროვნულ ქცევასა და მრწამსს, ანუ რამდენად აქვს მოსამართლეს პირადი დაინტერესება და მიკერძოება საქმის მიმართ (MICALLEF v. MALTA §94). სუბიექტური ტესტისაგან განსხვავებით, ობიექტური ტესტი აწესებს დამატებით გარანტიებს და აცილების წინაპირობებს განმარტავს უფრო ფართოდ. ობიექტური ტესტით შეფასებისას უნდა გაირკვეს რამდენად ქმნის სასამართლო და მისი შემადგენლობა საკმარის გარანტიას იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მის მიკერძოებასთან მიმართებით. ობიექტურ ტესტთან დაკავშირებით აუცილებელია გაირკვეს, მოსამართლის ქცევის მიუხედავად რამდენად აქვს ადგილი ფაქტებს, რომლებმაც შესაძლებელია წარმოშვას ეჭვები მოსამართლის მიუკერძოებლობასთან მიმართებაში (HAUSCHILDT v. DENMARK §48, MICALLEF v. MALTA §96, PESCADOR VALERO v. SPAIN §21).

მოსამართლის აცილების მიღებული კრიტერიუმია მისი მიკერძოებულობის თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობა. მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი აზრის არსებობის თაობაზე ვარაუდის საფუძველი დგინდება სხვადასხვა იურიდიული ფორმულების გათვალისწინებით, როგორებიცაა: „მომეტებული ალბათობა“, „რეალური შესაძლებლობა“, „დიდი ალბათობა“, ასევე „საფუძვლიანი ეჭვი“ მიკერძოების თაობაზე. მოსამართლის ქცევა ფასდება ჰიპოთეზური გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან, რათა ხაზი გაესვას გამოყენებული კრიტერიუმის ობიექტურობას, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების აუცილებლობას და მოსამართლის მუშაობის მხოლოდ იმ შეფასებას არ ეყრდნობა, რომელიც სასამართლოს შემადგენლობაში შემავალ მის კოლეგებს შეეძლოთ გაეკეთებინათ.[1]

[1] ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) 2006 წლის 27 ივლისის 2006/23 რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი ღია შემადგენლობის სამთავრობათაშორისო სამთავრობათაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ე.წ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის

სსს კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები. ამავე კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად თუ არსებობს სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს თვითაცილება. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსამართლე თვითაცილების შესახებ განცხადებას აკეთებს სასამართლოს თავმჯდომარესთან, ხოლო მე-4 ნაწილის თამახმად, თვითაცილების შესახებ განცხადება უნდა იყოს დასაბუთებული. სსს კოდექსის 63-64 მუხლებით გათვალისწინებულია აცილების შუამდგომლობის დაყენებისა და გადაწყვეტის წესი.

როგორც საჩივრის ავტორი მიუთითებს, შუამდგომლობის განხილვის დროს მოსამართლე ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი, ვინაიდან მოსამართლის მიერ 2009 წლის 3 აპრილს გამოტანილი განჩინების გამო, რომლითაც დააზუსტდა მსჯავრდებულ -- -- მიერ სასჯელის მოხდის დასწყების თარიღი (მიუთითა 2006 წლის 12 აპრილი), საჩივრის ავტორმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ -- წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით, რომელიც საბოლოო გახდა -- წლის 28 ივნისს, დაადგინა, რომ მომჩივანის მიმართ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას და ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანს არ ჰქონდა შესაძლებლობა ზეპირად ან წერილობით წარედგინა საკუთარი არგუმენტი განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ათვლის თარიღის ცვლილებასთან დაკავშირებით, რითაც სისხლის სამართალწარმოება უსამართლო გახდა, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ფარგლებში.

სასამართლომ უარყო ის არგუმენტი, რომ კონვენციის მე-6 მუხლის ყოველი დარღვევა განაპირობებს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას. მომჩივნის არგუმენტზე თითქოს მისი მსჯავრდება და სასჯელი წარმოადგენდა იმ სამართალწარმოების შედეგს, რომელიც „აშკარად უარყოფდა მართლმსაჯულებას“, რამაც ზეგავლენა მოახდინა მისი პატიმრობის კანონიერებაზე კონვენციის მე-5 მუხლის თვალსაზრისით, სასამართლომ განაცხადა, რომ „მართლმსაჯულების აშკარად უარყოფის“ ტესტი ძალიან მკაცრია (ibid., §99). ადგილი უნდა ჰქონოდა საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპების დარღვევას, რომელიც იმდენად ფუნდამენტურია, რომ შეიძლება გამოიწვიოს ამ მუხლით დაცული უფლების არსის გაუქმება ან განადგურება და აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, ის არ მიიჩნევს, რომ ეს დარღვევა ისეთი ხასიათისაა, რომ ანადგურებს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლების არსს.

შესაბამისად სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმის გარემოებებში, მომჩივნის პატიმრობა გამართლებული იყო კონვენციის მე-5 მუხლის პირველი (a) პუნქტის საფუძველზე და ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

საჩივრის ავტორს, სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოჰყავს არგუმენტად, როდესაც საჩივარში უთითებს, რომ მოსამართლეს უნდა განეცხადებინა თვითაცილება.

რამდენადაც, მოსამართლის მხრიდან მიკერძოების არსებობის შესახებ ვარაუდის საფუძვლიანობის დასადგენად, აღიარებულია საღად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის სტანდარტი, სწორედ საღად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის სტანდარტით უნდა შემოწმდეს, მოსამართლე -- -- მიერ შუამდგომლობის მიუკერძოებლად განხილვის საკითხი, შეეძლო თუ არა ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას გავლენა მოეხდინა -- -- მიერ -- -- შუამდგომლობის განხილვის დროს მოსამართლის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე.

როგორც საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, მოსამართლე -- -- 2009 წლის 3 აპრილის განჩინების მიღების დროს მოქმედებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 615-ე მუხლის შესაბამისად (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998წ.).

ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილშიც მსჯავრდებულ -- -- მიერ სასჯელის მოხდის დაწყების თარიღად მითითებულია 2006 წლის 12 აპრილი.

რაც შეეხება მსჯავრდებულ -- -- შუამდგომლობას, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ, მოსამართლეს განსახილველად დაეწერა 2020 წლის 26 აგვისტოს საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით, საქმის შემთხვევითი განაწილების პრინციპით. აღნიშნული შუამდგომლობა კი ეხებოდა -- -- სასამართლოს 2017 წლის 18 ოქტომბრის განაჩენის გადასინჯვას. სსს კოდექსის 313-ე მუხლის შესაბამისად მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა დაყენებული შუამდგომლობის დასაბუთებულობა და დასაშვებობა და 2020 წლის 9 სექტემბრის განჩინებით დაუშვებლად ცნო.

ამდენად, საქმეზე მოკვლეული გარემოებების ანალიზიდან დასტურდება, რომ არ არსებობს მოსამართლის მიერ საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვაში ეჭვის შეტანის საფუძვლები და ვერც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ მოახდენდა გავლენას და ვერ შეუქმნდა საფრთხეს მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა.

ამდენად, -- -- საჩივართან დაკავშირებით შესწავლილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, არ იკვეთება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №112/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი